



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 104

29/12/2017

2018 წლის საავტომობილო საწვავის ხარჯვის ლიმიტის დამტკიცების შესახებ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურეობრივი მოვალეობების ეფექტური განხორციელებისათვის და შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული საავტომობილო საწვავის ხარჯვის ლიმიტების დაწესების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ვბრძანებ:

მუხლი 1. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის საწვავის ყოველთვიური ლიმიტი დანართის მიხედვით.

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის სახელით შპს „რომპეტროლ საქართველო“-ს ვებ გვერდებზე ელექტრონული სისტემის მართვა და საწვავის შეძენის განხორციელება ამ ბრძანების შესაბამისად დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 27 დეკემბრის №46/78 ბრძანება.

მუხლი 4. ბრძანება გაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ამოქმდდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო